



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

სათბობი შეშის მოთხოვნა- მიწოდებისა და პოტენციალის შეფასება

CENN - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო
ორგანიზაციების ქსელი
მარტი, 2016





EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავების ინიციატივა ხორციელდება CENN-ის მიერ, „ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული ქვეყნებისათვის სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების მეორე პროგრამის (ENPI East FLEG II)“ ფარგლებში, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მხარდაჭერით. ინიციატივა ფინანსდება ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის (ADC) მიერ“.





EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

შინაარსი

1. შესავალი.....	4
2. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია.....	5
3. საშემე რესურსის წლიური ოპტიმალური ოდენობის განსაზღვრა.....	7
4. შეშის მომხმარებელ კომლთა რაოდენობის განსაზღვრა.....	10
4.1 მოზამთრე კომლების რაოდენობა.....	10
4.2 შეშის მომხმარებელი ოჯახების რაოდენობა.....	12
4.3 ბუნებრივი აირი.....	12
4.4 სატყეო ტერიტორიების გარეთ მოპოვებული მერქნული რესურსი და ფიჩხი.....	13
4.5 ელექტროენერგია.....	13
4.6 თხილის ნაჭუჭი.....	14
5. ოჯახის საშუალო წლიური ნორმის განსაზღვრა.....	15
6. კვლევის ძირითადი შედეგები.....	17



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

1. შესავალი

საქართველოს მოსახლეობის სათბობი რესურსით უზრუნველყოფა, რომელიც, ძირითადად, ეროვნული სატყეო სააგენტოს (NFA) მიერ გამოყოფილი სოციალური ტყეკაფებით ხორციელდება, საგანგაშო ნიშნულამდე მივიდა.

დაუგეგმავი სარგებლობის შედეგად დეგრადირებულ ტყეებში გართულდა საჭირო ოდენობის საშეშე მერქნის გამოყოფა; შეშის მარაგები ამოიწურა სატყეო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილ ფართობებზე; დაიწყო შეზღუდული რაოდენობის სატყეო გზების მოწყობა აქამდე მიუვალ ადგილებში, დასახლებული პუნქტებისგან შორს, დამრეც ფერდობებზე არსებულ პირველად ტყეებში; გახშირდა უკანონო ჭრები და მოსახლეობის პროტესტი საჭირო სათბობი რესურსის ხელმისაწვდომობაზე; სატყეო და ენერგეტიკულ სექტორში ჩატარებულმა კვლევებმა დააფიქსირა შეშის დეფიციტი და დრამატული სხვაობა შეშის წლიურ მოხმარებასა და სახელმწიფოს მიერ კანონიერად გამოყოფილი საშეშე ხეტყის ოდენობას შორის¹.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, დაიგეგმა მოსახლეობის სათბობი რესურსით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის მომზადება. აღნიშნული ინიციატივა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების იმპლემენტაციის საგზაო რუკით განისაზღვრა.

ინიციატივა 2015 წლის 1 ივნისს „ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული ქვეყნებისათვის სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების მეორე პროგრამის (ENPI East FLEG II)“ ფარგლებში დაიწყო. პროექტს ახორციელებს CENN, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მხარდაჭერითა და ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის (ADC) ფინანსური დახმარებით.

პროგრამის მომზადებაში აქტიურად ჩაერთო ეროვნული სატყეო სააგენტო (NFA) და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. სიტუაციის შეფასებისა და დაზუსტებული მონაცემების მიღების მიზნით, ეროვნული სატყეო პროგრამის (NFP) ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც, ძირითადად, ტყის მართვის ორგანოების

¹ “საოჯახო მეურნეობების ენერგომომხმარება“ USAID/Deloitte HPEP, 2014

“საქართველოს ტყის მერქნული რესურსის ენერგეტიკული პოტენციალი” WEG, 2014

“რეკომენდაციები ენერგორესურსებით მოსახლეობის უზრუნველყოფის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის” CENN, 2014

“მოსახლეობის სათბობი რესურსით უზრუნველყოფა”, MoENRP, 2007



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. ჯგუფის შექმნის მიზანი შეშის მოთხოვნა-მიწოდების ანალიზისათვის ოპტიმალური მეთოდოლოგიის შემუშავება და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და საზოგადოებასთან შეთანხმება იყო. სამუშაო ჯგუფში შევიდნენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ეროვნული სატყეო სააგენტოს, არასამთავრობო და სამეცნიერო სექტორის წარმომადგენლები და მეტყევე ექსპერტები, ასევე CENN-ისა და IUCN-ის წარმომადგენლები.

2015 წლის შემოდგომაზე NFP-ის სამუშაო ჯგუფმა მოამზადა და გამოაქვეყნა „მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის საკვანძო ასპექტები“². დოკუმენტში მწვავე შეფასება მიეცა ამ კუთხით დარგში შექმნილ მდგომარეობას და გამოიხატა პოლიტიკური ნება ცვლილებების განსახორციელებლად. მასში კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფა, რომელიც საქართველოს ტყეების ძირითადი ფუნქციაა, სოციალური მოთხოვნის შესაბამისად ხორციელდება და არა – ტყეების ზრდისა და შემატების მიხედვით.

2. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

ჯგუფის მიერ მომზადდა და შეთანხმდა კვლევის მეთოდოლოგია საშუალო რესურსის მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისობის დასადგენად და შეშის ოპტიმალური და რეალური მოხმარების დასაანგარიშებლად³.

სათბობი რესურსის მოხმარების საშუალო წლიური ნორმის განსასაზღვრი ვრცელი კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავებამდე ჯგუფმა გამოავლინა საკვანძო პრობლემები და ფაქტები რომლებიც ხელს უშლის სახელმწიფო სატყეო სექტორის განვითარებას. ქვემოთ მოცემული საკვანძო საკითხების ჩამონათვალი შეთანხმებულ იქნა მონაწილე მხარეებს, სატყეო სააგენტოსა და სამინისტროს შორის.

ცხრილი 1. საკვანძო საკითხები

N	ფაქტები
1	შეშა ქვეყნის ძირითადი სათბობი რესურსია
2	შეშა, როგორც ენერგორესურსი, სახელმწიფო ენერგოპოლიტიკაში არ განიხილება
3	შეშის წარმოება საქართველოს ტყეების ძირითადი ფუნქციაა
4	შეშის მიწოდება ტყეების მართვის ძირითადი მიმართულებაა
5	შეშა უფასოა და არ მონაწილეობს ქვეყნის ფინანსურ შემოსავლებში
6	საქართველოში შეშის ბაზარი მთლიანად არალეგალურია
7	ტყეები არ მონაწილეობს ქვეყნის ეკონომიკაში

² იხილეთ დანართი 1

³ კვლევა განხორციელდა CENN - ის მიერ



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

8	შეშის მოპოვება სოციალური მოთხოვნის შესაბამისად ხორციელდება და არა – ტყეების ზრდისა და შემატების მიხედვით
9	ტყეების არამდგრადი მართვა დაკავშირებულია ქვეყნის უსაფრთხოებასთან
10	ტყეებისა და წყალშემკრები აუზების დეგრადაციისგან გამოწვეული სტიქიური მოვლენები ყოველწლიურად ასობით მილიონი ლარის ეკონომიკურ ზარალს იწვევს
11	მოსახლეობა ყოველწლიურად გამოხატავს უკმაყოფილებას საშეშე რესურსის სიმცირეზე, ან ხელმისაწვდომობაზე
12	ხშირია სამართალდარღვევები, როცა მოსახლეობა ჭრის დაუნომრავ ხეებს, ან შეშას ამზადებს გამოყოფილი ტყეკაფების გარეთ
13	ტყეების დეგრადაციის ხარისხი პროპორციულია სატყეო გზების არსებობასთან
14	შეშას აქტიურად იყენებს კერძო სექტორი, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციები
15	საშეშე ხეტყის რაციონალურად ათვისების მაჩვენებელი 30%-ს არ აღემატება
16	შეშა მოსახლეობის ყოფითი ატრიბუტი და ტრადიციული საქმიანობაა
17	შეშის მოპოვებას ახორციელებენ არაკვალიფიცირებული პირები, შესაბამისი აღჭურვილობისა და უსაფრთხოების ნორმების გარეშე, რის გამოც ხშირია უბედური შემთხვევები და მსხვერპლი

შემდეგ ეტაპზე, სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა სათბობი რესურსების არსებული საშუალო წლიური მარაგისა და რეალური მოხმარების განსაზღვრის მეთოდოლოგიაზე

აღნიშნული მეთოდოლოგია გულისხმობდა, შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

- I. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიებიდან შეშის მდგრადი მოპოვების წლიური ნორმის დადგენა (სამეურნეო ერთეულების ფარგლებში)
- II. ზამთრის სეზონზე სათბობი რესურსის მომხმარებელ კომლთა რაოდენობის დადგენა (მუნიციპალიტეტების მიხედვით)
- III. ზამთრის სეზონზე სათბობ რესურსად შეშის მომხმარებელ კომლთა რაოდენობის დადგენა (მუნიციპალიტეტების მიხედვით)
- IV. შეშის დეფიციტის იდენტიფიცირება ქვეყნის, რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით
- V. შეშის მიწოდების ხარჯების შეფასება და მისი შედარება ალტერნატივებთან
- VI. შეშის დეფიციტის მქონე კომლების ალტერნატიული სათბობი საშუალებების შერჩევა და მიწოდების გეგმის შემუშავება



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

VII. შეშის მოხმარების შემცირების სხვა ღონისძიებების შემუშავება (ენეგოეფექტიანობა, შეშის რაციონალური მოპოვება და გამოყენება)

VIII. მოსახლეობისათვის რესურსით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის მომზადება

IX. საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება

NFP-ის სამუშაო ჯგუფმა, ხანგძლივი და აქტიური კონსულტაციების შემდეგ, სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისთვის განსაზღვრა ორი ძირითადი მაჩვენებლის დადგენის საჭიროება:

1. შეშის ყოველწლიური მოხმარება
2. შეშის მოპოვების პოტენციური ტყეების ზრდისა და შემატების მიხედვით.

ორივე მაჩვენებელი დაითვალა ეროვნულ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე. მათი შედარება საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ, შეშის რა მოცულობის წარმოებაა შესაძლებელი ტყის მდგრადი მართვის პრინციპების შესაბამისად და არის თუ არა ეს მოცულობა საკმარისი არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად – როგორც ეროვნულ, ასევე მუნიციპალურ დონეზე. ლოკალური და საერთო დეფიციტის დადგენა და ალტერნატივების ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი აუცილებელი პირობაა მოსახლეობისათვის რესურსის უზრუნველყოფის ეფექტური პროგრამის შესამუშავებლად, რომელიც ადგილობრივ საჭიროებებს/შესაძლებლობებს უნდა მოერგოს და საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელდეს.

3. საშეშე რესურსის წლიური ოპტიმალური ოდენობის განსაზღვრა

კვლევის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უწყვეტი სარგებლობის პრინციპით მოსაპოვებელი საშეშე რესურსის ყოველწლიური ოპტიმალური ოდენობის განსაზღვრა იყო. აღნიშნული სამუშაო განხორციელდა NFP-ის სამუშაო ჯგუფთან და ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობით და წინასწარ შეთანხმებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

როგორც აღვნიშნეთ, ეროვნული სატყეო სააგენტო წელიწადში დაახლოებით 600,000 მ3 საშეშე რესურსს გამოყოფს. თუმცა, თავად სააგენტოს წარმომადგენლების მონაწილეობით შემუშავებული საკვანძო საკითხების დოკუმენტის მიხედვით, შეშის გამოყოფა სოციალური მოთხოვნის შესაბამისად ხორციელდება და არა – ტყეების ზრდისა და შემატების მიხედვით.



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

NFP-ის სამუშაო ჯგუფმა, შეხვედრების, კონსულტაციებისა და აზრთა შეჯერების შედეგად, შეიმუშავა მეთოდოლოგია და გადაწყვიტა, რომ მთავარი სარგებლობის ჭრებით ყოველწლიურად მოსაპოვებელი მერქნული რესურსის ოპტიმალური ოდენობების შესახებ მონაცემები დადგენილიყო სატყეო მეურნეობების ბოლო ტყეთმომწყობის მასალებზე და სატაქსაციო მაჩვენებლებზე დაყრდნობით.

კვლევის ფარგლებში მოხდა არსებული ტყეთმომწყობის მასალების შესახებ NFA-ის მიერ მოწოდებული იმ ციფრების გაანალიზება, რომელიც მორგებულია მოქმედი ტყის კოდექსსა და ჭრის ახალ წესებზე.

სააგენტოს მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით, ტყეთმომწყობის მასალებზე დაყრდნობით დადგენილია ყოველწლიური მოსაჭრელი ხე-ტყის ლიკვიდური მარაგი სახეობების მიხედვით და შესაბამისად გამოვლენილია ყოველწლიურად სარგებლობას დაქვემდებარებული ფართობები.

კვლევის ფარგლებში მოხდა დაშვება, რომ ლიკვიდურიდან საშუალო მერქნის გამოსავლიანობის მაჩვენებლად წიწვოვნებისთვის მიჩნეულიყო 40 %, ხოლო ფართოფოთლოვნებისთვის - 50 %, გარდა რცხილისა და თხმელისა, რომლის 100% ჩაითვალა საშუალოდ⁴.

შესაბამისად, დაითვალა საშუალო მერქნის ოდენობა საქართველოს ტყეების იმ 992,080 ჰექტარი ფართობისთვის, სადაც, არსებული ტყეთმომწყობის მიხედვით, შესაძლებელია ტყითსარგებლობის განხორციელება გარემოსდაცვითი მოთხოვნების ოპტიმალური დაცვით.

კვლევაში არ არის განხილული მოვლითი ჭრების შესაძლებლობა, რაც, ბუნებრივია, ტყეებში დამატებითი საშუალო რესურსის არსებობას განაპირობებს. მისი მდგრადი ათვისების ალბათობის გათვალისწინებით, საშუალო რესურსის ოპტიმალური ოდენობა 200,000 მ3-ს ვერ გადააჭარბებს⁵.

აღნიშნული მეთოდოლოგია სრულად არ ითვალისწინებს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიებზე უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში განხორციელებულ ქმედებებს (ფართობების ცვლილება, უკანონო ჭრა). თუმცა, იმის გამო, რომ ტყეების მდგომარეობა ამ ხნის განმავლობაში პოზიტიურად არ შეცვლილა, ჩაითვალა, რომ შესაძლო ცდომილება მიღებული მაჩვენებლების მხოლოდ შემცირებას გამოიწვევს. შესაბამისად, კვლევის შედეგი აღებული იქნება, როგორც მთავარი სარგებლობის ჭრებით ყოველწლიურად მოსაპოვებელი მერქნული რესურსის ოპტიმალური ოდენობების მაქსიმალური ზღვარი. ამასთან, სამუშაო ჯგუფმა მიმდინარე პერიოდისათვის ვერ მოიძია სხვა ალტერნატიული მონაცემები, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა ყოველწლიურად მოსაჭრელი მერქნული რესურსების ოპტიმალური მოცულობების დადგენა.

⁴ აღნიშნული დაშვება აღიარებულია მეტყვევთა მიერ

⁵ შუშის ოპტიმალური ოდენობა, მუნიციპალიტეტების მიხედვით, მოცემულია დანართი N2-ში



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

ცხრილი 2. მთავარი ჭრების (წლის განმავლობაში დასაშვები ჭრები) ოპტიმალური ოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	სულ		
	ფართობი (ჰექტარებში)	ლიკვიდური (ათასი მ ³)	შემა (ათასი მ ³)
სულ გურია	216	6.04	3.2
სულ იმერეთი	3524	52.83	18.64
სულ კახეთი	746	20.26	11.24
სულ მცხეთა-მთიანეთი	678	19.45	10.795
სულ რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1733	60	28.04
სულ სამეგრელო-ზემო სვანეთი	1058	54.08	22.743
სულ სამცხე-ჯავახეთი	1368.8	58.0	24.4
სულ შიდა ქართლი	160	3.67	1.914
სულ ქვემო ქართლი	437	13.59	7.5
სულ	9920.80	287.90	128.49



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

4. შეშის მომხმარებელ კომლთა რაოდენობის განსაზღვრა

შეთანხმებული მეთოდოლოგიის მიხედვით, შემდეგი აუცილებელი კომპონენტი იყო ზუსტად დათვლილიყო სათბობი შეშის მომხმარებელ კომლთა რაოდენობა.

სათბობი შეშის მომხმარებელ კომლთა რაოდენობის დადგენა 2 ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე დაზუსტდა მოზამთრე კომლების რაოდენობა, ხოლო მეორე ეტაპზე განხორციელდა მიღებული მაჩვენებლის გაფილტვრა შეშის ალტერნატივების მიხედვით.

4.1 მოზამთრე კომლების რაოდენობა

2015 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების შესაბამისად საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა (აჭარისა და თბილისის გარდა) 3,729,500 ადამიანია, რაც დაახლოებით 1,000,000-მდე კომლს შეადგენს⁶. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების სანდოობის მაღალი ხარისხის მიუხედავად, დიდია ალბათობა იმისა, რომ იყოს აბსოლიტურად გასხვავებული მდგომარეობა, რადგან რეგისტრირებული მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ცხოვრობს ოფიციალურად მითითებულ მისამართებზე. ასევე ხშირია ზამთრის სეზონზე მოსახლეობის ნაწილის მიგრაცია ქალაქებში. აქედან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფმა, აღნიშნული პროექტით განსაზღვრული გეგმის შემუშავება ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით დაუშვებლად მიიჩნია.

მოზამთრე მოსახლეობის (ოჯახების რაოდენობის) დასადგენად შემუშვებდა მეთოდოლოგია, რომელსაც საფუძვლად დაედო ინფორმაცია მოსახლეობის მიერ ელექტროენერჯის მოხმარების შესახებ, რაც ადგილობრივი ელექტრო ენერჯის დისტრიბუტორი კომპანიებიდან იქნა აღებული.

აღნიშნული ინფორმაციის გაანალიზებისა და საქართველოს კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ზამთრის სეზონის ხანგრძლივობა საშუალოდ 5 თვით იქნა შეფასებული. აქედან გამომდინარე, მოხდა დაშვება, რომ აბონენტი (ოჯახი), რომელიც ნოემბრიდან მარტის თვემდე პერიოდში მოიხმარდა 3 ლარზე მეტი ღირებულების ელექტროენერჯიას, ჩაითვალია მოზამთრე კომლად. შედეგად მიღებულ იქნა რადიკალურად განსხვავებული სურათი და

⁶ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

დაფიქსირდა მოზამთრე კომლთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით⁷ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, კვლევამ მიიღო რეალური სტატისტიკური სურათი. კერძოდ, შეშის რეალურად მომხმარებელი ოჯახების რაოდენობა 254,357-ით შემცირდა და ელექტროენერჯის მომხმარებლებად რეგისტრირებული 832,052-ის ნაცვლად 577,695 მოზამთრე კომლი შეადგინა.

ცხრილი 3. მოზამთრე კომლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	აქტიური*	რეგისტრირებული**
გურია	32,366	48,275
იმერეთი	120,645	183,768
მცხეთა-მთიანეთი	35,297	54,990
სამეგრელო – ზემო სვანეთი	98,297	129,588
ქვემო ქართლი	63,502	89,321
სამცხე-ჯავახეთი	43,565	60,910
კახეთი	91,919	128,317
შიდა ქართლი	78,295	108,531
რაჭა ლეჩხუმი – ქვემო სვანეთი	12,996	27,418

⁷ იხილეთ დანართი 3



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

	577,695	
სულ ჯამური		832,052

აქტიური* - ოჯახები რომელთა თვითრად მოხმარებული ელექტროენერჯის მოცულობა აღემატება 3 ლარს

რეგისტრირებული** - დარეგისტრირებული ოჯახების რაოდენობა

4.2 შეშის მომხმარებელი ოჯახების რაოდენობა

კვლევის შემდეგი ეტაპი გულისხმობდა შეშის მომხმარებელი კომლექსების იდენტიფიცირებას მოზამთრე კომლექსებიდან. ამისათვის კვლევამ დაადგინა შეშის ალტერნატიული სათბობი რესურსების მომხმარებელი ოჯახების რაოდენობა - მათი აღრიცხვიანობის უფრო გამართული სისტემის არსებობის გამო.

შეშის დღეისათვის არსებულ ალტერნატივებს შორის განხილულ იქნა:

- ბუნებრივი აირი
- ელექტროენერჯია
- ფიჩხი და სატყეო ტერიტორიების გარეთ მოპოვებული მერქნული რესურსი
- თხილი

სხვა ალტერნატივების გამოყენების მასშტაბი იმდენად მცირეა (წივა, გირჩი, ქვანახშირი), რომ საერთო მონაცემებში მათი ინტეგრირება საჭიროდ არ ჩაითვალა.

ალტერნატივების ანალიზმა საშუალება მოგვცა გაგვეფილტრა მოზამთრე კომლექსის რაოდენობა.

4.2.1. ბუნებრივი აირი

ზამთრის სეზონზე გასათბობად საჭირო საშეშე რესურსის მოცულობის დასაზუსტებლად, ბუნებრივი აირის დისტრიბუტორი კომპანიებიდან გამოთხოვილი იქნა წლის განმავლობაში ბუნებრივი აირის მოხმარების მაჩვენებლები მუნიციპალიტეტების მიხედვით. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად ზამთრის სეზონზე აბონენტების მიერ ბუნებრივი აირის მოხმარების მაჩვენებლები დაჯგუფებული იქნა 3 კატეგორიად და მოხდა შემდეგი დაშვება:



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

1. აბონენტები, რომლებიც ზამთრის სეზონზე ყოველთვიურად მოიხმარენ არაუმეტეს 30 ლარის ღირებულების ბუნებრივ აირს; წინასწარ შეთანხმებული დაშვებით, ბუნებრივი აირი ასეთ კომპლექსში სათბობი მიზნებისთვის არ გამოიყენება და ისინი სრულად მოიხმარენ სათბობ შეშას (144,255 ოჯახი 367,547 რეგისტრირებული აბონენტიდან);
2. აბონენტები, რომლებიც ზამთრის სეზონზე ყოველთვიურად მოიხმარენ 30-დან 50 ლარამდე ღირებულების ბუნებრივ აირს, მიჩნეულ იქნენ სათბობი შეში ნაწილობრივ მომხარებლებად (29,944 ოჯახი).
3. აბონენტები, რომლებიც ზამთრის სეზონზე ყოველთვიურად მოიხმარენ 50 ლარზე მეტი ღირებულების ბუნებრივ აირს, მიჩნეულ იქნა, რომ ისინი სათბობად არ იყენებენ საშეშე ხე-ტყეს და მთლიანად დამოკიდებული იყვნენ ბუნებრივ აირზე (94,918 ოჯახი).

კვლევაში გათვალისწინებულია ბუნებრივი გაზის მცირე რაოდენობით მოხმარების შესაძლებლობაც კორპუსის დასახლებებში (ძირითადად, ერთოთახიან ბინებში). აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. რუსთავში მაცხოვრებელი მოსახლეობა საერთოდ არ განიხილება ზამთრის სეზონზე შეშის მომხმარებელ ბენეფიციარებად. რაც შეეხება სხვა დიდ ქალაქებს (ქუთაისი, გორი, თელავი), აქ შესაძლებელია არსებობდეს გარკვეული ცდომილების ალბათობა, რომელიც ცალსახად დაფარული იქნება იმ გარემოებით, რომ ბუნებრივი აირის ყველა მომხმარებელი, რომელიც თვეში 50 ლარზე მეტი საფასურის გაზს მოიხმარს, საერთოდ არ განიხილება შეშის მომხმარებლად. ბუნებრივია, შეშის მცირე რაოდენობას აღნიშნული ოჯახებიც მოიხმარენ, განსაკუთრებით 50-დან 70 ლარამდე საფასურის ბუნებრივი აირის მომხმარებლები.

შეშის მომხმარებლებიდან ასევე ამორიცხულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სადაც შეღავათიანი ტარიფის სისტემა მოქმედებს.

4.2.2. სატყეო ტერიტორიების გარეთ მოპოვებული მერქნული რესურსი და ფიჩხი

2013 წელს CENN-ის მიერ „ტყეების მართვის დღევანდელი ვითარება და მისი გავლენა მოსახლეობაზე“ კვლევის ფარგლებში განხორციელდა შერეული გამოკითხვა, რომელმაც საქართველოს 1,933 სოფელი მოიცვა.

ჩატარებული გამოკითხვების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მოსახლეობა სათბობი მიზნებისთვის იყენებს საკარმიდამო ნაკვეთზე მოპოვებული საშეშე ხე-ტყეს, ტყიდან უფასოდ მიღებულ ფიჩხს და სხვადასხვა მერქნულ ნარჩენს, რომლის წილი სათბობი რესურსის საერთო მოხმარების 10 %-ს არ აღემატება.



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

4.2.3. ელექტროენერგია

ელექტროენერგიის სათბობად მოხმარების პრაქტიკა, ძირითადად, კორპუსის ტიპის დასახლებებშია გავრცელებული.

ელექტროენერგიას ასევე იყენებენ მესტიის მუნიციპალიტეტში, სადაც ტარიფის საშეღავათო სისემა მოქმედებს. თუმცა, ადგილობრივ გამოკითხვებზე დაყრდნობით დგინდება, რომ ელექტროენერგიით ძირითადად თბებიან დაბა მესტიაში, ისიც ნაწილობრივ. რაც შეეხება დანარჩენ დასახლებებს, ადგილობრივების განცხადებით, ძაბვის სიმცირის გამო (თითქმის ყველა ოჯახი მიმართავს დენის გამამლიერებლების პრაქტიკას), დენის გათბობა ყველგან ინტეგრირებულია შეშასთან და ოჯახის საშუალო წლიური მოხმარება 10 მ³-ს აღწევს.

4.2.4. თხილის ნაჭუჭი

თხილის ნაჭუჭის წილობრივი შემადგენლობა საერთო სურათთან მიმართებაში მცირეა, თუმცა, მისი გათვალისწინება მაინც მიზანშეწონილად ჩაითვალა. ნაჭუჭის ოდენობის დასათვლელად, სტატისტიკის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვნილი იქნა მონაცემები გატეხილი თხილის ექსპორტის შესახებ.

შეშაზე დამოკიდებული ოჯახების რაოდენობის დასადგენად, მოზამთრე ოჯახების რიცხვს (577,695) გამოაკლდა 94, 918 კომლი, რომელიც სათბობად მხოლოდ ბუნებრივ აირს მოიხმარს და 5,679 ოჯახი, რომელიც თხილის ნაჭუჭით თბება; ქვემოთ აღწერილი გარემოებების გამო, ასევე გამოირიცხა სპეციფიკური დასახლებული პუნქტები და მიღებულ იქნა სათბობი შეშის მომხმარებელთა რეალური რიცხვი, რომელმაც 419,328 შეადგინა. ამ რიცხვიდან ცალკე გამოიყო 29,944 ოჯახი, რომელიც გასათბობად ბუნებრივ აირთან ერთად შეშასაც იყენებს.



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

5. ოჯახის საშუალო წლიური ნორმის განსაზღვრა

საქართველოს გეოგრაფიულ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ზამთრის სეზონზე საშუალო რესურსის მოხმარების მაჩვენებელი 4-დან 15 მ³-მდე მერყეობს. მაღალმთიანი და ქალაქად მაცხოვრებელი კომლების რაოდენობის გათვალისწინებით, სეზონზე საჭირო საშუალო ხე-ტყის საშუალო მაჩვენებლად მიღებული იქნა 6 მ³. ხოლო იმ კომლებისათვის, რომლებიც ჩათვლილი იქნა საშუალო რესურსის ნაწილობრივ მოხმარებლად - სეზონზე საჭირო საშუალო ხე-ტყის საშუალო მოცულობად მიღებული იქნა 3 მ³.

ოჯახის წლიური ნორმის დასადგენად გამოყენებული იქნა სოციოლოგიური კვლევის ანგარიში „შემის ენერჯიაზე არსებული მოთხოვნის შეფასება დედოფლისწყაროსა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში“, რომელიც CENN-მა, GIZ-ის პროგრამის „ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამხრეთ კავკასიაში“ პროგრამის ფარგლებში, 2015 წლის ნოემბერში განახორციელა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 753 ოჯახი ორივე მუნიციპალიტეტში.

შემის მოხმარების საერთო ოდენობის მისაღებად 389,384 ოჯახზე დაანგარიშდა 6 მ³, ხოლო 29,944 – 3 მ³. კალკულაციის შედეგად, შემის საერთო მოხმარებამ **2,426,138** შეადგინა, რაც კატასტროფულად აჭარბებს როგორც კვლევის შედეგად მიღებულ ოპტიმალურ ოდენობას (128,490 მ³), ასევე ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ყოველწლიურად გამოყოფილ საშუალო რესურსს (600,000 მ³).

საინტერესო ინფორმაციას იძლევა მოთხოვნისა და მიწოდების შედარება რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე, რომლის გათვალისწინებაც, სათბობი რესურსით მოსახლეობის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისას, აუცილებელი იქნება (იხ. ცხრილი 4 – ჯამური ცხრილი).

ცხრილი 4. ჯამური ცხრილი

რეგიონი	მუნიციპალიტეტი	ელ. ენერჯის მომხმარებელ კომლთა რაოდენობა			გაზივიცი რეგული აბონენტების რაოდენობა	ბუნებრივი აირის მომხმარებელ კომლთა რაოდენობა			თხილის ნაკუჭის მომხმარებელი კომლბები	შემოს მომხმარებელი კომლბების რაოდენობა	საჭირო საშემე რესურსის რაოდენობა
		აქტიური	რეგისტრირებული			< 30	30 - 50	> 50			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	
გურია	ჩოხატაური	5,808	9,341	1,661	1,013	70	171		5,056	30,127	
გურია	ლანჩხუთი	9,186	13,118	2,610	1,358	176	388		7,879	46,748	
გურია	ოზურგეთი	17,372	25,817	8,528	3,890	664	1,716		13,919	81,521	
სულ გურია		32,366	48,275	12,799	6,261	910	2,275		26,854	158,396	
იმერეთი	ქუთაისი	50,840	65,502	59,291	22,927	10,212	16,942		28,814	142,248	
იმერეთი	ბაღდათი	7,248	10,906	4,424	2,731	353	721		5,802	33,754	
იმერეთი	ჭიათურა	13,429	24,069	6,092	2,252	1,009	1,531		10,555	60,304	
იმერეთი	ხარაგაული	6,596	11,418	679	151	35	116		5,820	34,817	
იმერეთი	სამტრედია	14,547	21,495	15,328	7,147	1,313	2,782		10,310	57,923	
იმერეთი	თერჯოლა	10,652	15,369	6,466	2,507	296	446		9,141	53,957	
იმერეთი	წყალტუბო	14,676	20,104	7,092	2,907	806	1,147		12,061	69,950	
იმერეთი	ზეესტაფონი	17,719	26,376	11,835	5,232	1,644	3,226		12,721	71,395	
იმერეთი	კვანი	7,814	11,508	6,979	5,103	393	548		6,485	37,729	
იმერეთი	ხონი	7,615	10,843	7,266	3,458	722	1,298		5,556	31,171	
იმერეთი	ტყეობული	9,455	14,674	904	430	90	161		8,348	49,819	
იმერეთი	საჩხერე	10,894	17,007	17,451	8,305	1,733	3,116		6,688	34,931	
სულ იმერეთი		120,645	183,768	84,516	40,224	8,393	15,092		93,488	535,749	
მცხეთა მთიანეთი	დუშეთი	9,271	15,751	5,289	1,524	219	1,262		7,082	41,834	
მცხეთა მთიანეთი	მიტანეთი	22,625	33,101	13,666	5,365	933	4,756		15,607	90,840	
მცხეთა მთიანეთი	თიანეთი	3,401	6,138	1,887	566	75	377		2,684	15,875	
სულ მცხეთა მთიანეთი		35,297	54,990	20,842	7,455	1,227	6,395		25,372	148,549	
რაჭა-ლეჩხ.კვ. სვანეთი	ამბროლაური	4,952	11,234	742	427	42	73		4,384	26,177	
რაჭა-ლეჩხ.კვ. სვანეთი	ონი	2,479	6,782	-	-	-	-		2,231	13,387	
რაჭა-ლეჩხ.კვ. სვანეთი	ცაგერი-ლენტეხი	5,565	9,402	-	-	-	-		5,009	30,051	
რაჭა-ლეჩხ.კვ. სვანეთი		12,996	27,418	742	427	42	73		11,623	69,614	
სამეგრელო-ზესვანეთი	აბაშა	6,700	9,721	1,750	1,171	119	199		5,831	34,629	
სამეგრელო-ზესვანეთი	ჩხოროწყუ	6,743	8,504	-	-	-	-		6,069	36,412	
სამეგრელო-ზესვანეთი	ხობი	8,336	10,661	1,089	639	65	202		7,300	43,607	
სამეგრელო-ზესვანეთი	მარტვილი	9,873	13,981	748	486	45	150		8,736	52,282	
სამეგრელო-ზესვანეთი	მესტია	682	860	-	-	-	-		614	3,683	
სამეგრელო-ზესვანეთი	ფოთი	13,536	18,297	7,895	2,432	592	1,645		10,537	61,448	
სამეგრელო-ზესვანეთი	სენაკი	12,416	16,770	9,240	3,419	832	2,772		8,402	47,920	
სამეგრელო-ზესვანეთი	წყალნჯიხა	7,946	11,303	-	-	-	-		7,151	42,908	
სამეგრელო-ზესვანეთი	ზუგდიდი	32,065	39,491	13,090	4,755	1,151	4,021		24,838	111,498	
სულ სამეგრ.		98,297	129,588	33,812	12,902	2,803	8,989	5,679	73,800	434,388	
სამცხე ჯავახეთი	ახალქალაქი	11,450	15,072	10,640	1,277	1,915	5,320		4,985	24,164	
სამცხე ჯავახეთი	ახალციხე-ადიგენი	15,662	20,963	18,414	2,243	3,289	9,547		4,549	17,426	
სამცხე ჯავახეთი	ასპინძა	2,672	3,531	1,629	594	92	269		2,136	12,539	
სამცხე ჯავახეთი	ბორჯომი	8,199	13,687	9,781	3,848	672	2,542		4,837	27,007	
სამცხე ჯავახეთი	ნინოწმინდა	5,582	7,657	5,395	1,942	324	863		4,161	23,993	
სულ სამცხე ჯავახეთი		43,565	60,910	45,859	9,904	6,292	18,541		20,667	105,128	
ქვემო ქართლი	ბოლნისი	13,772	18,452	8,541	3,297	695	2,855		9,540	55,154	
ქვემო ქართლი	დმანისი	5,144	7,859	2,986	1,853	136	207		4,423	26,128	
ქვემო ქართლი	გარდაბანი	7,805	10,092	12,643	3,954	830	3,095		3,930	21,087	
ქვემო ქართლი	მარნეული	26,519	35,005	17,190	6,124	1,111	5,280		18,587	108,190	
ქვემო ქართლი	თეთრიწყარო	5,117	10,621	4,804	2,385	378	851		3,754	21,392	
ქვემო ქართლი	წალკა	5,145	7,292	882	335	60	238		4,392	26,174	
სულ ქვემო ქართლი		63,502	89,321	47,046	17,948	3,210	12,526		44,626	258,124	
შიდა ქართლი	გორი	37,754	48,675	28,125	6,902	2,336	11,415		22,564	128,374	
შიდა ქართლი	კასპი	13,518	21,520	9,591	3,301	667	3,757		8,409	48,454	
შიდა ქართლი	ხაშური	27,023	38,336	12,782	5,534	952	3,653		20,668	121,150	
სულ შიდა ქართლი		78,295	108,531	50,498	15,737	3,955	18,825		51,641	297,978	
კახეთი	საგარეჯო	12,371	16,563	11,338	4,696	535	1,876		9,258	53,942	
კახეთი	დედოფლისწყარო	6,777	9,904	5,558	-	-	-		6,099	36,596	
კახეთი	სიღნაღი	9,802	14,142	8,332	4,060	425	1,894		6,928	40,292	
კახეთი	ლაგოდეხი	12,079	16,461	6,029	3,051	346	1,405		9,466	55,759	
კახეთი	გურჯაანი	16,280	22,970	14,595	7,078	771	3,813		10,839	62,721	
კახეთი	ყვარელი	8,798	11,750	8,067	5,625	385	1,070		6,848	39,934	
კახეთი	ახმეტა	9,170	12,647	7,532	4,225	219	447		7,806	46,179	
კახეთი	თელავი	17,455	24,815	9,982	4,662	429	1,697		14,013	82,788	
სულ კახეთი		92,732	129,252	71,433	33,397	3,110	12,202		71,257	418,210	
		577,695	832,052	367,547	144,255	29,944	94,918	5,679	419,328	2,426,138	



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

6. კვლევის ძირითადი შედეგები

სოციალური მიზნით საქართველოს ტყეების მასშტაბურმა ექსპლოატაციამ, რომელიც ბოლო 25 წელია მიმდინარეობს, ქვეყანა ახლო მომავალში შესაძლოა ეკოლოგიური კატასტროფისა და სოციალურ-ეკონომიკური და ენერგეტიკული შოკების წინაშე დააყენოს.

ტყის მართვის სტრუქტურებთან შეთანხმებული მეთოდოლოგიით განხორციელებული კვლევის შედეგების მიხედვით, შემის წლიური მოხმარება **თორმეტჯერ აღმატება უწყვეტი სარგებლობის პრინციპებით მოსაპოვებელი საშემე რესურსის ყოველწლიური ოპტიმალურ ოდენობას.**

კერძოდ:

სატყეო მეურნეობების ბოლო ტყეთმომწყობის მასალებისა და სატაქსაციო მაჩვენებლების შესაბამისად, მთავარი სარგებლობის ჭრებით ყოველწლიურად მოსაპოვებელი მერქნული რესურსის ოპტიმალური ოდენობა 200,000 მ³-ზე ნაკლებია, საშემე მერქნის წლიური ათვისების მაჩვენებელი კი 2,400,000 მ³-ს აღმატება.

ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ეროვნული სატყეო სააგენტო წლიურად 600,000 მ³ საშემე რესურსს გამოყოფს. ოპტიმალურ ოდენობაზე 3-ჯერ მეტი რესურსის მონიშვნა მდგრადი მეტყევეობის პრინციპების დაცვითაც რომ მიმდინარეობდეს, კანონიერი საშემე ხეტყის გასამმაგებელი მოცულობაც კი საერთო მოთხოვნის მხოლოდ 25% აკმაყოფილებს. დარჩენილი 300,000 ოჯახი იძულებულია, სიცოხლისთვის აუცილებელი 1,800,000 მ³ საშემე ხეტყე უკანონოდ მოიპოვოს.

აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს ბოლო პერიოდში ბორჯომსა და ხარაგაულში განხორციელებული ტყეთმომწყობის შედეგები; კერძოდ, სახეზეა მერქნული მარაგების სწრაფი კლება, რაც არსებული მოთხოვნის თუნდაც 25 %-ის მდგრადი უზრუნველყოფის აღბათობასაც ეჭვქვეშ აყენებს.

არსებობს რეალური საფრთხე, რომ მომავალი ზამთრისთვის მოსახლეობის ნაწილი სათბობის რესურსის გარეშე აღმოჩნდეს და საჭირო ოდენობის შემის მოპოვება არაკანონიერი გზებითაც ვეღარ შეძლოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ უახლოს პერიოდში მთავრობის წინაშე წარადგინოს და საჯაროდ დააფიქსიროს



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



www.enpi-fleg.org

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in partnership with IUCN and WWF

საშეშე რესურსის ის მოცულობა, რომლის გამოყოფაც 2016-2017 წლების ზამთრის სეზონისთვის კანონიერად იქნება შესაძლებელი, მთავრობამ კი შეუმუშავოს ენერგოდეფიციტის აღმოფხვის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი გეგმები, რაც საქართველოს მოსახლეობას გარანტირებულად უზრუნველყოფს სასიცოცხლო მნიშვნელობის პირველადი საჭიროებებით, ტყეებს კი შეუქცევადი დეგრადაციისგან დაიცავს.